ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01200233754**
თარიღი: **23/01/2020**
პინი: **9295**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური") განიხილა თქვენი 2020 წლის 20 იანვრის #60-01200203006 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ ანა გოგოლაძის მიერ 2019 წლის 8 აგვისტოს გაცემული მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა; ტოპო. გეგმა; მცენარეების ზოგადი ფოტომასალა), რომლითაც მოქალაქე დავით ონიაშვილის განაცხადის (AR1722423) საფუძველზე ითხოვთ, შპს ,,დიპლომატ ჯორჯიას" (საიდენტიფიკაციო N204557121) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის I შესახ. N10; ს.კ.: 01.19.17.001.044)(ს-2) IV კლასის ობიექტის (საწყობი) რეკონსტრუქციის (მიშენება, მიშენება-დაშენება, დაშენება ფუნქციის ცვლილებით) მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია 276 ერთეული მწვანე ნარგავი.

ვინაიდან ატვირთულ დოკუმენტაციაში, ასევე, მითითებულ განაცხადზე, არცერთ საინფორმაციო ველში არ იძებნება წერილობითი ინფორმაცია, ითვალისწინებს თუ არა ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოჭრას/გადარგვას განმცხადებელი, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს მცენარეების საკითხზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დაინტერესებულმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ზემოთმითითებული ინფორმაცია (მოსაჭრელი/გადასარგავი მცენარეების (რაოდენობა, ნუმერაცია, დიამეტრი) შესახებ).

ამდენად, მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენამდე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააფიქსიროს პოზიცია მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი